
საქართველოს ფიზკულტურელი
ФИЗКУЛЬТУРНИК ГРУЗИИ
Шестидневный орган ВСФК при ЦИК ССР Грузии и ТОФК
№ 13 (41) ფასი 20 კაპ. Цена 20 коп.
СРЕДА, 1 МАЙ


ფიზკულტურელი
ФИЗКУЛЬТУРНИК
ОРГАН ВСФК ПРИ ЦИК ССР ГРУЗИИ И ТОФК
Четверг 18 июня № 28 (94) Цена 15 коп.


ლელო

ლელო
ЛЕЛО

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 133
(3872)

10
1969 წ.
ივლისი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

საქართველოს სპორტულ გაზეთს 35 წელიწადი შეუსრულდა

თბილისი, „ლელო"

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი მხურვალედ ულოცავს ქართული სპორტული გაზეთის — „ლელოს" რედაქციის კოლექტივს 35 წლისთავს.

გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

საპატიო სიგელით

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის აქტიური პოპულარიზაციისთვის და დაარსების 35 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გაზეთი „ლელო" დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

გაზეთ „ლელოს" რედაქციას

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა გულითადად მიესალმება „ლელოს" რედაქციის მთელს კოლექტივს გაზეთის 35 წლისთავთან დაკავშირებით.

ამ დროის მანძილზე ქართულმა სპორტულმა გაზეთმა დიდი და პასუხსაგები მისია შეასრულა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ვუსურვებთ ჩვენს „ლელოს" დიდ შემოქმედებით წარმატებებს შემდგომშიც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

სპორტის ერთგული ქომაგი

ქართული სპორტული გაზეთის ხელახლა გამოსვლამ მე ჯერ კიდევ სტარტზე მომისწრო. ეს იყო 1949 წელს, როცა თარჯრბენში მაღალი შედეგებით გამოვდიოდი.

სხვათა შორის, „ლელოში" მე უფრო „მოხუცი" ვჩანდი, ვიდრე მისი წინამორბედების— „საქართველოს ფიზკულტურელისა" და „ფიზკულტურელის" ფურცლებზე, სადაც მე, შეიძლება ითქვას, ფეხი ავიდგი.

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს.

„ლელო" მუდამ საქმიან და საინტერესო მასალებს ბეჭდავს — იგი სპორტსმენების, მწვრთნელების, ყველა ჩვენი ფიზკულტურელის მრჩეველი და მეგობარია.

ვერ დაემდურებიან მას, ცხადია, მძლეოსნებიც. ვინ მოთვლის, რამდენი საჭირბოროტო, დროული სტატია თუ სხვა მასალა დაიბეჭდა გაზეთში „სპორტის დედოფალზე". განსაკუთრებით ბევრი პრობლემატური წერილი გამოჩნდა „ლელოს" ფურცლებზე ამ ბოლო ხანს.

მოდით, ერთობლივი ძალებით დავუბრუნოთ ქართულ მძლეოსნობას ძველი კეთილი ტრადიციები. დედოფალს ჭეშმარიტი დედოფლობა დაშვენდებოდა! ამ საქმეში „ლელომ" კვლავაც დიდი დახმარება უნდა გაგვიწიოს.

ე. გოკიელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

მუდამ გაიტანოს ლელო!

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლელო" ერთ-ერთი საყვარელი გაზეთია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული და არამარტო სპორტული საზოგადოებრიობისთვის. მისი მეოხებით სპორტის მოყვარულებს ეძლევათ საშუალება რეგულარულად ადევნონ თვალი ჩვენი ქვეყნის მთელ სპორტულ ცხოვრებას, დიდი თუ მცირე მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებს — რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებს.

რით მიაღწია გაზეთმა ასეთ პოპულარობას, რაზეც თუნდაც მისი ტირაჟის სისტემატური ზრდა მეტყველებს (1934 წელს — 3.000, 1969 წელს — 103 ათასამდე).

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სპორტული გაზეთი პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას — გახლავთ ქართული სპორტის, ჩვენი ფიზკულტურელების, სპორტსმენების, მწვრთნელების, გულშემატკივრების ჭეშმარიტი, ერთგული მეგობარი.

მე არ მახსოვს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში არც ერთი მეტად თუ ნაკლებად ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელსაც „ლელო" არ გამოხმაურებოდეს — ჩვენი სპორტსმენების სახელოვან გამარჯვებათა ამბავს „ლელო" პირველი აუწყებს ქართველ მკითხველებს.

მაგრამ რა ფასი აქვს მხოლოდ წარმატებებზე წერას, თუ დროულად არ ვამხელთ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, ჩამორჩენას ფიზკულტურისა და სპორტის ამა თუ იმ უბანზე. ჩვენ ვერც ამ მხრივ დავემდურებით „ლელოს" — სხვადასხვა დროს მან დიდი დახმარება გაგვიწია, გამოაქვეყნა რა მწვავე, საქმიანი წერილები სპორტის ჩამორჩენილ სახეობებზე — ცურვაზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობაზე და ა. შ.

◆

დაუნდობლად აკრიტიკებს „ლელო" ცალკეულ სპორტსმენებსაც, რომლებიც არასპორტული, ზოგჯერ ულირსი ქცევით არცხვენენ ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ხალხს. ამას უთუოდ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

კარგად აშუქებს „ლელო" მასობრივი ფიზკულტურის საკითხებსაც, თუმცა ამ უბანს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს. იგივე შეიძლება ითქვას მეთოდური ხასიათის წერილებზეც, თუმცა, „ლელოს" ფორმატი მეტის საშუალებას არ იძლევა. სპორტული ჟურნალი რომ გვქონდეს, ალბათ უფრო მადლობელი დაგვრჩებოდნენ სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლები, მაგრამ სანამ იგი არა გვაქვს, ჰაპანი ისევ გაზეთმა უნდა გასწიოს.

ქართველმა მკითხველმა თავისი საკუთარი სპორტული გაზეთი 35 წლის წინ — 1934 წლის 13 აპრილს მიიღო. ეს იყო „საქართველოს ფიზკულტურელი", რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა. გაზეთს იმთავითვე გულთბილად, სიყვარულით შეხვდნენ. ეს გასაკვირი არაა, რადგან ქართველ ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას მუდამ უყვარდა ფიზიკური ვარჯიშობანი, სპორტი.

ჩვენი სპორტი სწორედ ოცდაათიან წლებში გავიდა დიდ სარბიელზე. სწორედ მაშინ მოევლინენ სტადიონებს, სარბენ ბილიკებს, საჭიდაო ხალიჩებს შემდგომში ისეთი სახელგანთქმული სპორტსმენები, როგორიც არიან გიორგი შხვაცაბაია, ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი, დიმიტრი იოსელიანი, ბორის პაიჭაძე და შალვა ჩიხლაძე, გიორგი რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, შალვა გორგასლიძე და ბევრი სხვა.

გაზეთი, რომელიც მოგვიანებით „ფიზკულტურელის" სახელით გამოდიოდა, წერდა მათს წარმატებებზე, წვრთნის მეთოდებზე. პირველ ყოვლისა სწორედ სპორტულმა გაზეთმა შეაყვარა ეს სახელები ჩვენს ხალხს.

სასიხარულოა, რომ „ლელო" დღეს სახელოვნად აგრძელებს პირველი ქართული სპორტული გაზეთის კარგ ტრადიციებს. ჩვენმა გაზეთმა ბევრი რამ გააკეთა ქართული სპორტის შემდგომი განვითარებისა და აღორძინებისთვის.

ვუსურვოთ „ლელოს" კვლავაც ასე გაეტანოს ლელო!

შეხვედრა სპორტულ საქართველოსთან

აი, უკვე სამი ათეული წელია მოსკოვში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი მშობლიური რესპუბლიკის, მისი სპორტული ცხოვრების მაჯისცემას, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად ვგრძნობ.

უკვე ამისთვის დიდად მადლობელი ვარ „ლელოსი", რომელსაც მუდამ დროულად და სრულად მოაქვს ჩვენამდე ქართული სპორტის ამბავი, საქართველოს მოჭიდავეების, ფეხბურთელების, კალათბურთელების გამარჯვებათა მაუწყებელი სასიხარულო სტრიქონები.

ვიცი, რომ „ლელო" საყვარელი გაზეთია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში მცხოვრები ყველა ქართველისთვის. ბევრ მათგანს ეს გაზეთი ხომ წლების მანძილზე აქვს გამოწერილი. მოსკოველები ყიდულობენ მას „სოიუზპეჩატის" სპეციალურ ჯიხურშიც.

ცხადია, მე, როგორც ჟურნალისტი, „ლელოს" მხოლოდ კარგი ინფორმაციისთვის არ ვაფასებ. მთავარი ისაა, რომ გაზეთი მუდამ იყო და არის ქართული სპორტის ერთგული ქომაგი და მეგობარი, მისი განუყრელი ნაწილი.

ვუსურვებ ჩვენს „ლელოს" შემდგომ წარმატებებს როგორც პირადად ჩემი, ისე მოსკოველ სპორტულ ჟურნალისტთა და... დედაქალაქის ქართველ მკითხველთა სახელით!

ნ. თოლორაია,
„მოსკოვსკაია სპორტივნაია ნედელიას" რედაქტორი, მოსკოვის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

საბაბი არ მივცეთ

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველი სიტყვა, რომელიც დამოუკიდებლად ამოვიკითხე, იყო „ლელო".

ექვსი წლის „მკითხველს" ეს ამბავი შინ დიდ წარმატებად ჩამითვალეს. მას შემდეგ „ლელოს" არც ერთი ნომერი არ დამრჩენია წაუკითხავი. მაშინაც კი, როცა გუნდთან ერთად ვმოგზაურობ, შინ მიცდის საყვარელი გაზეთის მთელი დასტა, რომელსაც შემდეგ დიდი ინტერესით ვეცნობი.

სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს ალბათ არ ეწყინებათ თუ ვიტყვი, რომ პირადად მე განსაკუთრებული მღელვარებით ვკითხულობ ფეხბურთზე, კერძოდ კი, ჩვენს „დინამოზე" დაბეჭდილ მასალებს.

სხვა ქვეყნებში და მოსკოვში სპეციალური საფეხბურთო გამოცემები არსებობს. ჩვენში ჯერ თუ ამის შესაძლებლობა არაა, იქნებ „ლელოს" ფორმატის გაზრდა ან სპორტული ჟურნალის გამოცემა მაინც მოხერხდეს.

ვუსურვებ ჩვენს იუბილარ გაზეთს კვლავ საინტერესოდ, კვალიფიციურად გაეშუქებინოს ქართული ფეხბურთის ავ-კარგი, ჩვენს ფეხბურთელებს კი მინდა ვუსურვო, რომ გაზეთისთვის პესიმისტური სტრიქონების დაბეჭდვის საბაბი არ მიეცეთ.

მ. ხურცილავა,
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი.

საქართველოს სპორტულ გაზეთს 35 წელიწადი შეუსრულდა

გაზეთის გზა

1. დაბადება

დაიბადა! მის ამ ქვეყნად გაჩენას არავინ შეხვედრია თოფის გრიალით, არავის გაუშლია სადღესასწაულო სუფრა. ეს იყო, რომ სპორტის მოყვარულები ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ახალ პირმშოს — გაზეთ „საქართველოს ფიზკულტურელს". ნორჩ სტუმარს ამ ასაკისთვის არც თუ დიდი მოკრძალება გამოუჩენია. მან 1934 წლის 13 აპრილიდანვე, დაარსების დღიდანვე გაბედულად დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა: დაბეჭდა დიდი წერილი რუბრიკით: „XVII პარტყრილობის სახელობის ფიზკულტურელთა ლაშქრობა", სპორტულ თემაზე დაწერილი პირველი ფელეტონით შეუტია სტალინისის (ახლანდელი ხაშურის) ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურთა ცუდ მუშაობას, რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და ფიზკულტურელებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახალი სპორტული გაზეთის საქმიანობაში.

„საქართველოს ფიზკულტურელის" პირველი ნომერი სადღესასწაულო იყო, ამიტომ მასში მოკრძალებული ადგილი დაეთმო სპორტულ პაექრობას. გიგლა აბზიანიძის წერილში აღწერილია საქართველოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა. პირველი ადგილი დაუკავებია იმ დროის უძლიერეს სპორტსმენს გ. რცხილაძეს. მომდევნო ადგილებზე გასულან გ. ბაბილოძე, ლ. ყანჩაველი, ა. ჯორჯაძე, კ. ზაალიშვილი, მაისურაძე. პირველ ნომერში დაბეჭდილია მხატვრების ა. მაყაშვილისა და ვ. რუსეცკის კარიკატურები. გაზეთის რედაქტორი შ. ქაჯაია ყოფილა.

გაზეთის პირველ ნომერზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში 1934 წლის სხვა ნომრები არ აღმოჩნდა.

„საქართველოს ფიზკულტურელის" 1935 წლის ერთ-ერთ ნომერში საინტერესოდაა აღწერილი ამიერკავკასიის ძალოსანთა შეჯიბრება. სამი რესპუბლიკის ათლეტების ამ ფორუმზე პირველობა გათამაშდა ხუთ მოძრაობაში, სპორტსმენს მარჯვენა და მარცხენა ხელით ცალ-ცალკე უნდა დაეძლია სიმძიმე. მძიმე წონაში გამარჯვებულ ს. ამბარცუმიანს ხუთ მოძრაობაში 557,8 კგ უჩვენებია. რაოდენ მოკრძალებულად მოგეჩვენებათ ეს შედეგი ლ. ჟაბოტინსკის ახლანდელ მსოფლიო რეკორდთან სამჭიდში — 592,5.

ამ ნომერში რედაქცია მოუწოდებს რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს იზრუნონ „საქართველოს ფიზკულტურელის" გავრცელებისთვის. აქვეა გამოქვეყნებული ხაშურის ორგანიზაციის ვალდებულება გაავრცელოს „საქართველოს ფიზკულტურელის" 100 ეგზემპლარი. ამ საქმეში ხაშური სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ხარაგაულის, თელავის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, გურჯაანის, ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

1935 წლის 9 აპრილის ნომერში საინტერესოდაა აღწერილი თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, რომელიც უჩვეულო ანგარიშით — 9:5 დამთავრებულა. მას შემდეგ, რაც ანგარიში 1:1 გახდა, ივანოვს მოსკოვის გუნდი დაუწინაურებია. მერე იაკუშინს ანგარიში 3-მდე გაუზრდია, მაგრამ იქვე თბილისელ იამშანოვს გაუტანია მეორე ბურთი — 2:3. შესვენების შემდეგ ასლამაზოვს წონასწორობა აღუდგენია — 3:3. მაგრამ იქვე თბილისელთა კარში გასულა ივანოვის ბურთი. ამის შემდეგ ინიციატივას თბილისელი დინამოელები დაეუფლებიან. კვლავ იამშანოვს (ორჯერ), ასლამაზოვს, აბაშიძეს შეურხევიათ მეტოქის კარის ბადე. ილინის ერთი საპასუხო გოლისთვის იამშანოვს კიდევ ორი ბურთით გაუცია პასუხი. სტუმართა რიგებში ივანოვს, იაკუშინსა და ილინს გარდა თამაშობდნენ ფოკინი, სმირნოვი, პავლოვი და სხვ.

2. ხელახალი ნათლობა

1936 წლიდან საქართველოს სპორტული გაზეთი ახალი სახელწოდებით წარუდგა მკითხველს. ახლა მას „ფიზკულტურელი" ერქვა.

„ფიზკულტურელი" მომდევნო წლებშიც (რედაქტორები ა. მურაჩაშვილი, შ. ტაბატაძე, ა. გირკელიძე, ვ. დევაძე) თავგამოდებით იბრძოდა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, სააშკარაოზე გამოჰყავდა უქნარები, ყალბისმქნელები და სხვა მისთანანი. 1936 წლის 18 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია წერილი: „ფიზკულტურული მუშაობა სამარცხვინო მდგომარეობაშია". აქ ნათქვამია, რომ ბორჯომისა და ამბროლაურის რაიონებში ჩაშლილია მუშაობა. ამბროლაურის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებზე ასე წერს გაზეთი: „ამბროლაურის ფეხბურთის გუნდმა უარი განაცხადა შეჯიბრებაში — „საქართველოს თასის" მოპოვებაზე მონაწილეობის მიღებაში, იმ მიზეზით, რომ გუნდს ბურთის სათამაშო ფეხსაცმელი არ ჰქონდა".

გაზეთი წერდა, რომ ბაკურიანში უხეიროდაა ბაზებისა და ინვენტარის საქმე. ნუ გვიწყენენ ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები, თუ ვიტყვით, რომ ამ 33 წლის წინათ დაწერილ სტრიქონებს ძალა, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს.

ყურადღება მიიქცია 1937 წლის 21 ივლისის კარგად გაფორმებულმა ნომერმა. იგი თითქმის მთლიანად ბასკი ფეხბურთელების თბილისში ჩამოსვლისადმია მიძღვნილი. დაბეჭდილია ყველა ფეხბურთელის პორტრეტი, მოკლე ბიოგრაფია, წერილი ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელ რესპუბლიკელთა ბრძოლის შესახებ. ჩვენ თვალწინ კვლავ გაცოცხლდნენ გრეგორიო ბლასკო, პედრო არესუ, ლეონარდო სილაურენი, რობერტო ეჩებარია, ისიდრო ლანგარა, ემილიო ალონსო, ხოზე ირარაგორი და სხვ.

1939 წელს „ფიზკულტურელმა" შეწყვიტა გამოსვლა.

3. მეორედ დაბადება

10 წლის იძულებითი შესვენების შემდეგ განახლდა რესპუბლიკური სპორტული გაზეთის გამოშვება. გაზეთს დაერქვა ახალი სახელი „ლელო" (გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ: მ. კაკაბაძე, ე. მახათაძე, ი. უგულავა). ეს იყო საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი სიხარული. ახალმა გაზეთმა მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა მკითხველებში. ამას ტრაბახში ნუ ჩამოგვართმევთ: ვერ გეტყვით, ეს გაზეთის დამსახურება იყო თუ ქართველი ახალგაზრდების სპორტისადმი სიყვარული.

გაზეთი „ლელო" გულმოდგინედ მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას, იბრძოდა და იბრძვის საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისთვის. გაზეთი ფართო ადგილს უთმობს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას. გვინდა, რომ ჩვენში ყველგან, პატარა თუ დიდ სოფელსა და ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მაღალ დონეზე იდგეს, რესპუბლიკის წარმომადგენლები მუდამ იყვნენ საბჭოთა სპორტის ავანგარდში, გაზეთმა მეტი სიხარული მოუტანოს თავის მკითხველებს. „ლელოს" მკითხველებმა უნდა გვაპატიონ, თუ ხშირად ვერ ვაწვდით კარგ სტრიქონებს ჩვენს ფრენბურთელებზე, ნიჩბოსნებზე, მძლეოსნებზე, მოცურავეებზე და სპორტის კიდევ ბევრი სახეობის წარმომადგენლებზე. გაზეთი სიამოვნებით დაუთმობდა ადგილს მათი წარმატებების ამსახველ წერილებს, მაგრამ „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!"

ჩვენ მადლობით ვიხსენიებთ „საქართველოს ფიზკულტურელისა" და „ფიზკულტურელის" მაშინდელ ავტორებს: ვ. ქურულს, დ. თაქთაქიშვილს, გ. აბაშიძეს, მ. პატარიძეს, მ. მრევლიშვილს, ვ. ვერულაშვილს, ა. ფალავანდიშვილს, გ. მღებრიშვილს, გ. შმერლინგს, ვ. რუსეცკის, ა. მაყაშვილს და ბევრ სხვას, ვინც სხვადასხვა დროს სისტემატურად ბეჭდავდა მასალებს გაზეთში.

მადლობელი ვართ ჩვენი ახლანდელი ავტორებისა, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენს ულევ საქმეში, გვაცნობენ რესპუბლიკის რაიონებისა თუ ქალაქების სპორტულ ცხოვრებას.

„ლელოს" მართლა გააქვს თუ არა ლელო, ამ საკითხის გარკვევა ჩვენი მკითხველისთვის მიგვინდვია.

ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი მეგობარი

სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი ძალიან მიყვარს „ლელო". მასში, პირველ ყოვლისა, ვხედავ ქართული სპორტის სინდისს, მებრძოლ სულს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მეგობარს. „ლელო" ხარობს ქართველი სპორტსმენების წარმატებებით და საიმედო ბურჯად უდგას მათ განსაცდელის ჟამს.

ამბობენ, XX საუკუნე სპორტის საუკუნეაო. და თუ ეს ასეა, „ლელო" ქართული სპორტის მემატიანეცაა. მას ძნელი ამოცანა აკისრია: მოუთხროს და აგრძნობინოს მომავალ თაობას ჩვენი სპორტული საუკუნის მაჯისცემა.

მხნეობასა და წარმატებებს ვუსურვებ „ლელოს" და მის სულისჩამდგმელებს — თანამშრომლებს, გულშემატკივრებს, მკითხველებს...

ნ. გაფრინდაშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

აბა, რას ვიფიქრებდი...

გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ ფაქტია: „ლელო" მე... ლომიძემ შემაყვარა. ვჩქარობ შევიტანო სიცხადე: ლაპარაკია ფრიდონ ლომიძეზე — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უნიჭიერეს და უტექნიკურეს მოკრივეზე, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე წავიდა სპორტიდან და ამ ცხოვრებიდანაც.

მე მაშინ VI კლასის მოწაფე თუ ვიქნებოდი, როცა საბჭოთა კავშირის რინგებზე ჰქუხდა ტყავის ხელთათმნის ამ შესანიშნავი რაინდის სახელი.

გაზეთები, განსაკუთრებით კი „ლელო", ბევრს წერდნენ მასზე, დროდადრო ჩემი სპორტული კერპის სურათებსაც აქვეყნებდნენ.

ცამეტი წლის ბიჭი ჩემს საამაყო მოგვარეზე დაწერილ ერთ სტრიქონს არ გავუშვებდი წაუკითხავს. გაზეთიდან ვჭრიდი და ვინახავდი ყველაფერს, რაც კი მის შესახებ დაიბეჭდებოდა.

აბა, რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე „ლელოს" ფურცლებზე სულ სხვა ლომიძეზეც დაიწერებოდა და ეს „სხვა" მე ვიქნებოდი.

მიხარია, რომ „ლელო" ასე ბევრს წერს ქართველ მოჭიდავეებზე, ოპერატიულად აწვდის მკითხველებს შორეულ ხალიჩებზე მოპოვებულ გამარჯვებათა ამბავს. რა დასამალია, გული სიამაყით მევსება, როცა საყვარელ გაზეთში ჩემი გამარჯვების შესახებ ცნობაც გამოქვეყნდება ხოლმე.

მართალია, ივნისში მე ჩემდაუნებურად გავაწბილე ქართველ გულშემატკივართა იმედები, რადგან ხელი მტკიოდა და ლუგანსკის ფინალურ შეჯიბრებაში ვერ გამოვედი. მაგრამ არა უშავს, შევეცდები ბრინჯაოს მედალი უფრო კეთილშობილ ლითონზე „გადავადნო" და ევროპის ჩემპიონატიდან (ბულგარეთი, სექტემბერი) „ლელოს" მკითხველებმა კვლავ სასიხარულო ცნობები მიიღონ.

შ. ლომიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ოთხგზის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.

ასე წერდა „ფიზკულტურელი"

გამოსასვლელი დღე სტადიონზე

პატარა ფელეტონის მაგიერ

უბის წიგნაკში ჩავიხედე. დღეს საქმე არაფერი მაქვს (გამოსასვლელი დღეა)... მხოლოდ ორ საათზე „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთის მატჩს უნდა დავესწრო (ეს ამბავი ორჯერაა ხაზგასმული). ისე ვღელავ, როგორც ახალი სტუდენტი პირველი ლექციის წინ... დღეს პირველად მივდივარ სტადიონზე.

ბილეთის ასაღებად მივედი და... უცბად იმედი დავკარგე. ფარატინა ბილეთი ოცნების საგნად გადამექცა. აბა, თვითონ თქვენ განსაჯეთ: რა იმედით მივუახლოვდებოდი სალაროს მე, ადამიანი ფიზიკურად სუსტი (სწორედ ამიტომ მოვკიდე ხელი ფიზკულტურას), როდესაც ყოველი რიგში მდგომი (და ასეთი რამდენიმე ათასია) ორი ცხენის ძალით იკაფავდა გზას ესოდენ ძვირფასად გამხდარ ხვრელისკენ (ეს სალაროა...).

ნუთუ ასე ძნელია კიდევ რამდენიმე სალაროს გაღება! შევეკითხე თავს და გადავეშვი ადამიანთა ზღვაში.

... თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა.

მზესთან ზედმეტად „ნაალერსები" ორგანიზმი კანონიერად მოითხოვს გაგრილებას. ამისათვის არსებობს ნატახტარის წყალი და მისი სხვადასხვა სახეები. ზოგიერთი „გაუმაძღარი და უსინდისო" კუჭი პურსა და მის სხვადასხვა სახეებს მოითხოვს. ესეც კანონიერი მოთხოვნილებაა!

ხალხი მიილტვის იქითკენ, სადაც ყოველივე ეს უხვად უნდა იყოს.

ბუფეტთან ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი „ომი" ჩატარდა... დახლზე ჭუჭყიანი ხელსახოცით შეიარაღებული კაცი დგას და განწირული ხმით გაჰკივის.

— ძმებო, ამხანაგებო, მეგობრებო, დაგვეხსენით! მეტი არაფერი გვაქვს. მე იესო ქრისტე ხომ არა ვარ, 100 ბოთლი „სიტროთი" და 150 ნამცხვრით 15 ათასი კაცი დავაკმაყოფილო!..

თამაში დამთავრდა.

მუსიკა „პეტერის" ტანგოს უკრავს.

ლ. კორდი.

(„ფიზკულტურელი", 1936 წლის 30 მაისი).

საქართველოს V პროფკავშირული

სპარტაკიადის ტაბლო

საერთო გუნდური შედეგები 21 დამთავრებული სახეობის (კალათბურთი — ქალები და ვაჟები, ხელბურთი — ქალები და ვაჟები, ტანვარჯიში — ქალები და ვაჟები, ქართული ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, საგზატკეცილო ველორბოლა, ტრეკზე რბოლა, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, სასტენდო სროლა, ძალოსნობა, ჭადრაკი, შაში, ფარიკაობა) შემდეგ ასეთია:

„ბურევესტნიკი" — 1424 ქულა
„განთიადი" — 990
„ლოკომოტივი" — 651
„სპარტაკი" — 647
„შრომითი რეზერვები" — 186
„ვოდნიკი" — 8

საიმედო ცვლა

კრივი

მოკრივეთა ტურნირი „განთიადის" დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა.

რინგზე 50 სპორტსმენი გამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. სულაკაძე, რ. რატიანი (ორივე — „განთიადი"), მ. არუთინოვი, გ. ვარდანიანი (ორივე — „ბურევესტნიკი"), მ. მარქარიანი („განთიადი"), გ. შახსუვორიანი („ბურევესტნიკი"), ი. მისტოკოპულო („განთიადი"), ნ. გარაბაჯი („ბურევესტნიკი"), რ. აკოფოვი, ნ. შონია (ორივე — „სპარტაკი"), ა. ნიკოლაძე („განთიადი").

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი წილად ხვდა „განთიადს". II ადგილზეა „ბურევესტნიკი", III — „სპარტაკი".

პირდაპირ საოცარია: შეჯიბრების ორგანიზატორებმა ბოლო მომენტამდე ვერ დაადგინეს შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილი, რის გამოც ჩამოსული სპორტსმენები დაბნეული დადიოდნენ აქეთ-იქით.

სპორტსმენთა უმეტესობის ფიზიკურმა და ტექნიკურმა მომზადებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან სულაკაძე, მისტოკოპულო, შონია და ნიკოლაძე, რომლებმაც ყველა შეხვედრა აქტიურად ჩაატარეს და დამსახურებულადაც მოიპოვეს ჩემპიონობა.

გაგვახარა ახალგაზრდა მოკრივეების — ქუთაისელი ჭაბუკების გ. ცხადაიასა („შრომითი რეზერვები") და მ. შალამბერიძის („განთიადი") რინგზე გამოჩენამ. მიუხედავად გამოუცდელობისა, მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეებს.

ფინალში შალამბერიძის მეტოქე ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ძლიერი ოსტატი მისტოკოპულო იყო. შეუპოვარი ორთაბრძოლის ბედი ბოლო რაუნდმა გადაწყვიტა, როდესაც შალამბერიძემ თავით სახიფათო მოძრაობისთვის შენიშვნა მიიღო და გამარჯვება მეტოქეს დაუთმო.

რაც შეეხება ცხადაიას, იგი უდავოდ კარგი მომავლის მქონე მოკრივეა. გამარჯვებისადმი ლტოლვა, ტემპერამენტი, ძლიერი დარტყმები და დისტანციის გრძნობა იმედს იძლევა, რომ ჩვენს ოსტატებს მისი სახით ღირსეული ცვლა მოსდის.

არ დაგვაკმაყოფილა საკავშირო კატეგორიის არბიტრის, თბილისელი ნ. აირაპეტიანის მსაჯობამ. მისი გვიანი რეაქცია რინგზე შექმნილი სიტუაციების დროს და დაბნეულობა, მაყურებელში სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. ცდებოდნენ სხვა მსაჯებიც. ეს იმან გამოიწვია, რომ უკანასკნელ წლებში სისტემატურად არ ტარდება მსაჯთა სემინარები, ხოლო ის არბიტრები, რომლებმაც რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიები „გაინაღდეს", არ კადრულობენ საკლასიფიკაციო ტურნირებში მონაწილეობას.

СПАРТАКИАДА
ПРОФСОЮЗОВ
IX
1969

კრივის მსაჯთა საქალაქო და რესპუბლიკურმა სექციებმა უნდა იმსჯელონ შექმნილ სიტუაციაზე და კონკრეტული ზომები მიიღონ მათ მიმართ, ვისაც უმნიშვნელოდ მიაჩნია ჩვენი რინგის მომავალი კადრების ბედი.

ე. ქელბაქიანი,
საქართველოს სსრ კრივის ფედერაციის აგიტაცია-პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.

ტყვიის მსროლელ ქალთა შორის ლ. ჟურულს ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია მოწინავე პოზიცია უკავია. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი საკავშირო ტურნირებშიც წარმატებით ასპარეზობს. თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წევრი წლევანდელ რესპუბლიკურ პირველობაშიც ბრწყინვალედ გამოვიდა და საქართველოს ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში.

სურათზე: ლ. ჟურული.
ფოტო თ. ლეკიშვილისა.

ი. ზოტოვამ ცურვა ქუთაისში ისწავლა, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი და საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. აქ მან რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის მ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით განაგრძო ვარჯიში. განთიადელი გოგონა ახლა საქართველოს რეკორდსმენია 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, მაგრამ მეტოქეებს არც სხვა სახეობებში უდებს ტოლს. ამიტომაც, ხშირად კომპლექსშიც ასპარეზობს ხოლმე. ზოტოვა თბილისში გამართულ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე შეჯიბრებაშიც ცდიდა ძალას.

სურათზე: ი. ზოტოვა გაცურვის შემდეგ.
ფოტო ბ. ქვათაძისა.

სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

7 ივლისს თამაშობდნენ „ა" კლასის I ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდები.

ყურადღების ცენტრში იყო მატჩი ადგილობრივი და როსტოვის არმიელთა გუნდებს შორის. როსტოველებმა ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა ცსკა-ს, რომელმაც ამ დღეს განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა, და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 0:3. პირველი ბურთი გაიტანა პოლიკარპოვმა. ანგარიში გაზარდა კოპეიკინმა, ხოლო უკვე მაშინ, როცა შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, იმავე პოლიკარპოვმა სტუმართა კარში მესამე ბურთი შეაგდო.

4 ბურთი იქნა გატანილი „კრილია სოვეტოვისა" და „ჩერნომორეცის" მატჩში — 2:2. კუიბიშეველთაგან ბურთები გაიტანეს არიაპოვმა და კაზაკოვმა, ოდესელთაგან — შიმანოვიჩმა და ბოკატოვმა.

0:0 — ასე დამთავრდა „ურალმაშისა" და „ზარიას" შეხვედრა. ამ ერთმა ქულამ ლუგანსკელებს პირველ შვიდეულში მოხვედრის პერსპექტივა შეუქმნა, ხოლო „ურალმაშის" მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

გუშინ მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს „არარატი".

ფეხბურთი 69

„ა" ჯგუფი
I ჯგუფი

I ქვეჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	16	10	6	0	22—8	26
ცსკა	17	9	5	3	17—7	23
ასკ (როსტოვი)	17	7	4	6	20—21	18
„ზარია" (ლუგანსკი)	17	6	4	7	18—15	16
„არარატი" (ერევანი)	16	6	4	6	17—21	16
„დინამო" (მოსკოვი)	16	6	3	7	14—16	15
„ნეფტჩი" (ბაქო)	16	5	5	6	12—14	15
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	17	4	7	6	13—17	15
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	17	4	6	7	9—17	14
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	17	2	4	11	13—24	8

„ბ" ჯგუფი

8 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

რუსთავიდან...

ადგილობრივ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი მეტოქეების, ზონის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების — რუსთავის „მეტალურგისა" და გორის „დილის" შეხვედრამ. ფეხბურთის მოყვარულთა მოლოდინი გამართლდა: მატჩი იყო დაძაბული, ალსავსე სახიფათო მომენტებით.

თავდაპირველად უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ. ისინი ყურადღებით თამაშობდნენ დაცვაში, სწრაფად ახორციელებდნენ იერიშებს და „მეტალურგის" მეკარე ჩლაიძეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა და მალე ინიციატივას მტკიცედ დაეუფლა „მეტალურგი". ახლა უკვე გორელთა დაცვას და მეკარე სტეფანიას მოუხდათ სრული დატვირთვით თამაში.

ანგარიში გაიხსნა მხოლოდ შესვენების შემდეგ. სტუმრებმა მარცხენა ფლანგიდან წამოიწყეს იერიში, აქედან ბურთი გადაეცა კარის წინ, სადაც წამით უმეთვალყუროდ დარჩენილი აღმოჩნდა კაპანაძე. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება — 1:0.

ამ გოლის გასაქვითად მეტალურგებმა მთელი ძალები შეტევაზე გადაიყვანეს. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას ნახევარმცველმა ჩიტაურმა საკმაოდ შორიდან უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი მოპირდაპირე კარში — 1:1.

დარჩენილ დროში დაძაბული ბრძოლა არც ერთი წუთით არ შემწყდარა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

რ. გაბრიჭიძე.

ზუგდიდიდან...

„ენგურს" ისედაც არ ჰქონდა საქმე კარგად და მას შემდეგ, რაც მის რიგებს გამოაკლდნენ წამყვანი მოთამაშეები სირაძე, ალმასია, როგავა და სხვანი, გუნდის საქმეები უარესად წავიდა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ზუგდიდელებს მთელი თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა მართებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ თამაშში კი ჯერ ეს არ ჩანს. ისეთ ჩამორჩენილ გუნდთანაც კი, როგორიცაა სტეფანაკერტის „ყარაბახი", „ენგური" დამარცხდა და ისიც შინ.

მართალია, მასპინძლებს ჰქონდათ საერთო უპირატესობა, მაგრამ თავდამსხმელები უსისტემოდ, აბნეულად თამაშობდნენ და ვერ იყენებდნენ „ყარაბახის" კართან შექმნილ მომენტებს.

25-ე წუთზე ზუგდიდელთა დაცვაში დაშვებულ იქნა უხეში შეცდომა, რომლის შედეგადაც „ყარაბახის" თავდამსხმელი სარქისიანი მარტოდმარტო აღმოჩნდა კარის წინ და გახსნა ანგარიში. ზუგდიდელებმა ვერ შეძლეს ამ ერთადერთი ბურთის გაქვითვა.

70-ე წუთზე სტეფანაკერტის გუნდის კარში დაინიშნა 11-მეტრიანი. ეს პენალტიც უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან კემულარიას ბურთი სტუმრების მეკარემ აიღო.

გ. ალშიბაია.

ფოთიდან...

ადგილობრივი „კოლხეთის" შეხვედრა კაფანის „ლერნაგორცთან" საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ფოთელთა თავდამსხმელებმა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა დაკარგეს, ბოლოს, 29-ე წუთზე ჯაიანმა ზუსტად დაარტყა და ბურთი „ლერნაგორცის" კარში აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში სტუმრების მხარეს დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულება გუნდმა იმავე ჯაიანს მიანდო — 2:0.

64-ე წუთზე „კოლხეთის" მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს, რაც კარგად გამოიყენა მაჩიკიანმა და გაქვითა 1 გოლი.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „კოლხეთმა".

გ. ბასილაია.

სხვა შეხვედრები

ასე დამთავრდა: „შუქურა" (ქობულეთი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „კახეთი" (თელავი) 4:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „არაზი" (ნახიჭევანი) 2:0, „ავტომობილისტი" (ერევანი) — „დაშკინი" (ზაქათალა) 3:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 0:2, „მალაროელი" (ჭიათურა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 2:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

ტაიმი მიმდინარეობდა ორმხრივ ბრძოლაში და დამთავრდა ისე, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას. შესვენების შემდეგ სიღნაღელებმა შესამჩნევად უმატეს ტემპს და ინიციატივამაც მათ მხარეს გადაინაცვლა. უკვე 57-ე წუთზე ნადირაშვილმა გახსნა ანგარიში, ხოლო შემდგომში ასათიანმა მეორე გოლიც გაიტანა.

● „აერო" (გალი) — „მშენებელი" (ბორჯომი) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

მიმდინარეობდა მე-2 წუთი, როცა ბორჯომელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის მახლობლად და ყოლბაიამ ზუსტად შეასრულა პენალტი — 1:0. ეს გოლი სტუმრებმა გაქვითეს მე-60 წუთზე (საფაროვი), მაგრამ „აერომ" უმალვე განავითარა სწრაფი იერიში, რაც დამთავრდა ჰკუასელის გადამწყვეტი გოლით.

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „სულორი" (ვანი) 1:2. მსაჯი მ. დუბრავინი (თბილისი).

სტუმრებმა აქტიურად ითამაშეს. მათი მონდომებული იერიშების შედეგად ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ბრედნიკოვმა. გავიდა ცოტა ხანი და სესიაშვილმა მეორედ აიძულა „ლაითური" ცენტრიდან დაეწყო თამაში. მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „სამცხე" (აწყური) — „სინათლე" (თბილისი) 1:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

მატჩი საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. მე-20 წუთზე რეხვიაშვილმა შეძლო თბილისელთა კარის აღება, ხოლო უკვე მაშინ, როცა თამაშის დასასრულს 5 წუთი აკლდა, აივაზოვმა თანაფარდობა აღადგინა.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი მ. სარქისიანი (ახალციხე).

● „ქართლი" (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„შევარდენი" (თბილისი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:0, „ისანი" (თბილისი) — „აბული" (ახალქალაქი) 7:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ვარძია" (ასპინძა) 2:0, „არაგვი" (მცხეთა) — „შირაქი" (წითელწყარო) 1:1, „სპარტაკი" (რუსთავი) — „არაგვი" (დუშეთი) 4:0, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „თრიალეთი" (წალკა) 2:1.

II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:2, „მერცხალი" (ზესტაფონი) — „განახლება" (ადიგენი) 2:5, „ივერია" (ხაშური) — „განთიადი" (აბაშა) 1:0.

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი" (ვანი)	18	8	8	2	23—15	24
„ცისკარი" (სიღნაღი)	18	10	4	4	23—16	24
„კოლხეთი" (ცხაკაია)	16	9	3	4	27—16	21
„სალხინო" (გეგეჭკორი)	17	7	7	3	30—21	21
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	17	6	8	3	18—14	20
„სინათლე" (თბილისი)	17	4	12	1	19—13	20
„შრ. რეზერვები" (გარდაბანი)	18	7	6	5	14—15	20
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	19	6	7	6	21—24	19
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	19	5	8	6	23—20	18
„ფეიქარი" (წულუკიძე)	19	4	9	6	19—16	17
„მესხეთი" (ახალციხე)	18	6	5	7	16—24	17
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	18	6	4	8	19—17	16
„ქართლი" (გორის რაიონი)	18	4	8	6	14—14	16
„მშენებელი" (ბორჯომი)	18	5	6	7	14—17	16
„დურუჯი" (ყვარელი)	16	3	9	4	21—19	15
ასა (თბილისი)	16	5	5	6	23—20	15
„აერო" (გალი)	18	4	7	7	14—26	15
„ლაითური" (მახარაძის რაიონი)	18	5	4	8	20—22	14
„სამცხე" (აწყური)	19	6	2	11	15—27	14
„ბახმარო" (ჩოხატაური)	18	3	7	8	14—26	13

მეტოქეები დასახელებულია

ჟენევა, 8 ივლისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ წრეში კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მეტოქე იქნება ვენის „აუსტრია". ეს აქ, უეფა-ს შტაბ-ბინაში გამართულმა კენჭისყრამ განსაზღვრა.

პირველ მატჩს კიეველები 17 სექტემბერს ჩაატარებენ ვენაში, ხოლო მეორეს — უკრაინის დედაქალაქში 1 ოქტომბერს.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილე მოსკოვის „ტორპედომ" ჯერ წინასწარი მატჩები უნდა ჩაატაროს ვენის „რაპიდთან". პირველ შეხვედრას ტორპედოელები სტუმრად გამართავენ, მეორეს კი შინ. ორივე მატჩი 17 სექტემბრამდე უნდა მოეწყოს. წარმატების შემთხვევაში, მოსკოველებს პირველი წრის მატჩები ელით ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან".

„ტყავის ბურთის" პრიზზე

✦ რუსთავი

რუსთაველ ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქო გათამაშებაში „ტყავის ბურთის" პრიზზე გამარჯვება მოიპოვეს „იმედმა" (უფროსი ასაკი) და „სინათლემ" (უმცროსები). ორივე ეს გუნდი მონაწილეობდა ზონალურ გათამაშებაში, რომელიც მარნეულში მიმდინარეობდა. „იმედმა" ანგარიშით 2:0 მოუგო წალკის გუნდს, ხოლო 5:1 — მარნეულისას. „სინათლემ" გაიმარჯვა დმანისელ თანატოლებთან (2:1) და ფრედ ითამაშა მარნეულელებთან — 0:0. გამარჯვებული გამოვლინდა 11-მეტრიანებით. იმარჯვა „სინათლემ". ზონალური პირველობა რუსთაველებს დარჩათ.

ბ. რაზმაძე.

✦ გორი

ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სტადიონზე შედგა „ტყავის ბურთის" თასის ზონალური შეჯიბრების ფინალური მატჩები.

უმცროს ასაკში ერთმანეთს შეხვდნენ გორის „ოცნება" და ხაშურის „აისი". გაიმარჯვეს გორელებმა — 1:0.

უფროს ასაკში თამაშობდნენ „მერცხალი" (გორი) და „სიხარული" (ხაშური). წარმატებამ აქაც მასპინძლებს ხედათ წილად — 6:0.

აღნიშვნის ღირსნი არიან პერსპექტიული ბავშვები: გორელები მაზმიშვილი, გაგიევი, ხაჩიროვი, ჩიტაია, თედიაშვილი, ხაშურელები გოგოლაძე, მაჩაიძე, ბეროზაშვილი.

შეჯიბრებას თავი აარიდეს მცხეთის, კასპისა და დუშეთის გუნდებმა, ხოლო ბორჯომელებს წესრიგში არ ჰქონდათ მონაწილეთა დოკუმენტაცია, რისთვისაც გათამაშებიდან მოიხსნენ.

გ. გოზალიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

[illegible]

კაუნასში მუშაობს ბავშვთა სპეციალიზებული კალათბურთის სკოლა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში. აქ ბავშვები 10 წლიდან კი არ სწავლობენ ამ თამაშს, როგორც ეს სხვა სკოლებშია მიღებული, არამედ 6-7 წლის ასაკიდან.

სკოლაში 120 ბიჭი და გოგონა სწავლობს. ეს 12 სრულად დაკომპლექტებული გუნდია. გუნდებს თვით ბავშვების დარქმეული სახელები აქვთ.

ნორჩ კალათბურთელებს კვირაში 4-5-ჯერ ავარჯიშებენ საათნახევარს. საინტერესოა, რომ ძირითადი მეცადინეობის გარდა (წვრთნის დღესაც კი) ბავშვები შინაც ვარჯიშობენ ბურთით 20 წუთს მაინც. საშინაო წვრთნის გეგმას მწვრთნელი ადრევე ადგენს მოსწავლისთვის.

ნორჩი კალათბურთელები შემცირებული ზომის მოედანზე თამაშობენ. კალათი მიწიდან 260 სმ სიმაღლეზეა, ფარიც უფრო პატარაა. თამაში გრძელდება 24 წუთს (ოთხი 6-6-წუთიანი ტაიმი). ამასთან, პირველი შესვენება ორწუთიანია, შემდეგი — ათწუთიანი.

სურათებზე: კაუნასის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის მოსწავლეები წვრთნის დაწყების წინ; ბავშვები დიდი მონდომებით ეუფლებიან ბურთის ტარების ხელოვნებას.

ფოტო დ. დონსკოისა.

✦ მთავარი რეკორდი — მასობრიობა

ალმა-ათა, 8 ივლისი. დამთავრდა ყაზახეთის პროფკავშირთა V სპარტაკიადა. 4500 ფიზკულტურულ კოლექტივში გაშლილი ასპარეზობის ყველაზე მთავარი რეკორდი მასობრიობაა. სარბიელზე გამოვიდა 600 ათასამდე მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, მოსამსახურე, სტუდენტი. სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობა მიიღო ყველა ოლქის 2800 სპორტსმენმა — უმეტესად ოსტატებმა და ოსტატობის კანდიდატებმა. რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში შეტანილია 17 შესწორება. გაუმჯობესდა 1000-ზე მეტი საოლქო, საქალაქო და რაიონული რეკორდი. 35 კაცმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

წლევანდელი სტარტების თავისებურება ისაა, რომ შეჯიბრება პარალელურად ტარდებოდა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და პროფკავშირთა დარგობრივ კომიტეტებს შორისაც. I ადგილზე გავიდა ალმა-ათის საოლქო პროფსაბჭოს ნაკრები კოლექტივი. II ადგილზე არიან ჩიმკენტელები, III — ყარაგანდის წარმომადგენლები. სპორტსაზოგადოებებში ყველას აჯობა „ბურევესტნიკმა“, დარგობრივი პროფკავშირების სპორტსმენთა შორის — განათლების მუშაკთა, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების რესპუბლიკური კომიტეტის კოლექტივმა.

კიდევ ერთი თავისებურება: გაფართოვდა სპარტაკიადის გეოგრაფია. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ალმა-ათაში, ყარაგანდაში, უსტ-კამენოგორსკში, აქტიუბინსკში, ჩიმკენტში, სემიპალატინსკში, თემირთაუში და სხვა ქალაქებში აშენდა ახალი სპორტული ბაზები, სადაც სპორტის ბევრ სახეობაში ტარდება შეჯიბრებები. მაგალითად, ალმა-ათის ბინათმშენებელ კომბინატში ტურნირები გაიმართა 15 სახეობაში.

სპარტაკიადა დამთავრდა, ფიზკულტურულ კოლექტივებში სტარტები გრძელდება.

✦ წარმატებას გისურვებთ, მეტალურგებო!

ამ დღეებში მდინარე ვორონეჟი ნიჩბოსანთა და აფროსანთა სარბიელად იქცა. აქ შეჯიბრებას ატარებს ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის იახტკლუბი.

ქარხანაში დანერგილმა ამ ოცდამეხუთე სახეობამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი გაიჩინა. ინვენტარი და ნავები პროფკავშირული ორგანიზაციისა და დირექციის დახმარებით შეიძინეს. კლუბის წევრებმა საკუთარი ძალებით ააგეს ელინგი და საწვრთნელი აუზი.

ნოვოლიპეცკელი სპორტსმენები ცოტა ხნის წინ შავი ზღვის რეგატაში მონაწილეობდნენ. ახლა საქარხნო შეჯიბრებებში ავლენენ უძლიერესებს, რომლებიც ახალ დიდ ტურნირებში ჩაებმებიან.

მეტალურგთა ფლოტი განლაგებულია მდინარე ვორონეჟის ერთ-ერთ ნავსადგურში, სადაც თავის დროზე პეტრე I ნავები გამოჩნდნენ. ოღონდ ახლა ნავსადგური უფრო გაფართოვდა. მალე მეტალურგებს უფრო სრულყოფილი ბაზა ექნებათ ლიპეცკის ზღვაზე.

მ. გოლაჩოვი.

ლიპეცკი.

სამთა მატჩში საკასკარეზოდ
მაღალი შედეგებით
წვიმას რომ არ „დაემძიმებინა“...

◆ **მოსკოვი**, 9 ივლისი. დღეს დილით პოლონეთს გაფრინდა სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომელიც 11-12 ივლისს კატოვიცის სტადიონზე იასპარეზებს გდრ-ის, სსრ კავშირისა და პოლონეთის ტრადიციულ მატჩში. საბჭოთა გუნდს სათავეში უდგანან მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ვ. სანეევი და ი. ლუსისი, მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები რ. კლიმი, ა. ლაზარევა და სხვა გამოჩენილი სპორტსმენები—სულ 65 მძლეოსანი. მხოლოდ ი. ტერ-ოვანესიანი, რომელმაც ფეხი იტკინა, დარჩა მოსკოვში. ნაკრებში არიან დებიუტანტები: მ. ოყროშიძე (თბილისი), ვ.

20 წ

ივანოვი (ორსკი), ა. ნურმეკივი (ტარტუ) და სხვ. პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები ოკეანეს გადალახავს — ლოს-ანჯელესში ტრადიციულ მატჩში შეხვდება აშშ-ს გუნდს.

◆ **კიოლნი**, 9 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. ლ. ვესტერმანმა (გფრ) ბადრო 62,18 მეტრზე ტყორცნა. მეორე იყო ლ. მანოლიუ (რუმინეთი) — 58,07. ბელგიელმა გ. რულანტსმა ეროვნული რეკორდი დაამყარა 5000 მეტრზე რბენაში — 13.34,6. მან უკან ჩამოიტოვა ოლიმპიური ჩემპიონი მ. გამუდი (ტუნისი) — 13.40,6. ჰ. ბირლენბახმა (გფრ) ბირთვი 19,86 მეტრზე ჰკრა. მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ვ. დავენპორტს (აშშ) ბადალი არ ჰყავდა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,5 წამი.

◆ **ოსლო**, 9 ივლისი. 5 და 10 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი რ. კლარკი (ავსტრალია) ამ დღეებში თითქმის დაუსვენებლად ასპარეზობს. „ბიშლეტის“ სტადიონზე, რომლის ბილიკებზეც მან ოდესღაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა 10 კილომეტრზე რბენაში, ახლა კლარკმა 28.03,6 აჩვენა, რაც მსოფლიოში საუკეთესო შედეგია წლეულს. მისი მეტოქეებიც კარგად გამოვიდნენ: იაპონელი ც. სუძუკი (28.42,8), იუგოსლაველი ნ. ფარჩიჩი (28.44,6 — ეროვნული რეკორდი), ავსტრალიელი მარათონელი დ. კლეიტონი (28.45,2), ნორვეგიელი ა. რიზა (28.46,4 — სკანდინავიის რეკორდი). 800 მეტრზე ქალთა რბენაში სკანდინავიის ახალი რეკორდით (2.05,7) გაიმარჯვა შვედმა ა.-მ. ნენცელმა. II ადგილზეა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ვ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 2.05,8. წვიმას სარბენი ბილიკები რომ არ „დაემძიმებინა“, შესაძლოა, ახალი მსოფლიო რეკორდების მოწმენი გავმხდარიყავით.

რეკორდები

კიევი, 9 ივლისი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების XIV სპარტაკიადაში მოასპარეზე საშუალო წონის ძალოსანმა, 24 წლის ა. გოლუბოვიჩმა სამჭიდში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა—490 კგ. ეს ფენომენალური შედეგია.

ბელორუსიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა, უმცროსმა სერჟანტმა გოლუბოვიჩმა აჭიმვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა (170 კგ), შემდეგ 137.5 კგ აიტაცა და 182.5 კგ აჰკრა.

სამჭიდში ძველი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონს, ლენინგრადელ ბ. სელიცკის (487,5), ხოლო აჭიმვაში — როსტოველ ნ. ხოროშაევს (168.5).

გოლუბოვიჩი ბელორუსიის ქალაქ ლიცაში დაიბადა. ახლა იგი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის პ. ზუბრივინის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

მოსკოვის ოლქის ძალოსანმა ვ. პახომოვმა (ქვემძიმე წონა) ატაცში საკავშირო რეკორდი მოუხსნა ტალინელ ი. ტალტსს. პახომოვის შედეგია 154 კგ — ძველ მიღწევაზე ნახევარი კგ-ით მეტი.

[illegible]

● **სოფია**, 8 ივლისი. პოლონეთის მძლეოსანმა ქალებმა აქ გამართულ მატჩში ანგარიშით 71:58 აჯობეს ბულგარეთის ნაკრებს. ე. სკავრონსკამ პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში—54,3. მასპინძელმა ი. ხრისტოვამ ბირთვი 17,46 მეტრზე ჰკრა, ხოლო დ. იავორსკამ (პოლონეთი) შუბი 57.16 მეტრზე ტყორცნა. ესტაფეტა 4×100 მეტრზე სტუმრების კვარტეტმა 45.8 წამში გაირბინა.

● **ზენიცა**, 9 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 5000 მეტრზე რბენა მოიგო მსოფლიო რეკორდსმენმა, ბელგიელმა გ. რულანტსმა. — 13.53.5.

მეხუთე ოკეანის ტალღებზე

ორიოლი, 9 ივლისი. მსოფლიო რეკორდსმენმა, პლანერისტმა თ. ზაგაინოვამ აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა (დისტანცია — 336 კმ. მიზნამდე ფრენა სტარტის ადგილზე დაბრუნებით) — 4:07.32. ეს შედეგი ვერ გააუმჯობესეს ვაჟებმაც კი, რომელთა შორის საუკეთესო იყო ე. რუდენსკი (4 საათი და 9 წუთი).

ამავე დისტანციაზე სტანდარტულ კლასში პირველობდა საბჭოთა სპორტსმენი ი. კუზნეცოვი (4:13.05).

სამი ვარჯიშის შემდეგ მრავალჭიდის ჯამში ლიდერობენ საბჭოთა პლანერისტები. II ადგილზე არიან უნგრეთის, III — პოლონეთის, IV — გდრ-ის, V — ბულგარეთის სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში ღია კლასში წინაა რუდენსკი, სტანდარტულ კლასში — კუზნეცოვი. ქალებში პირველობს საბჭოთა პლანერისტი ო. მანაფოვა.

(საკდესი).

მ. ბ. ხერგიანის დამკრძალავი კომისიისგან

გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის, მთამსვლელობასა და კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება დღეს, 20 საათზე, რესპუბლიკურ ალპიურ კლუბში (ციროვის სახელობის პარკი).

მიხეილ ხერგიანის ნეშტს თბილისის აეროდრომზე ჩამოასვენებენ დღეს, 10 საათსა და 30 წუთზე.

მშვილდოსანთა სარბიელი

პიარნუ, 8 ივლისი. დღეს აქ დაიწყო მშვილდოსანთა VI საკავშირო ჩემპიონატი. ამინდი ხელს უწყობს სპორტსმენებს. ქრის სუსტი ქარი, მზე არ აცხუნებს. შეჯიბრების მონაწილეთა (99) შორის არის სსრ კავშირის ყველა შარშანდელი ჩემპიონი. სრული გუნდები გამოიყვანა 9 სპორტსაზოგადოებამ და უწყებამ. მათ შორისაა 1968 წლის საკავშირო პირველობაში გამარჯვებული — შეიარაღებული ძალების გუნდი. სარბიელზე გამოდიან ევროპის რეკორდსმენი ნ. კოზინა (ლვოვი) და მისი თანაქალაქელი, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მშვილდოსანი ვ. სიდორუკი.

შეჯიბრების მონაწილენი ყოველ დისტანციაზე 72 ისარს ისვრიან. ვაჟები იბრძვიან 90, 70, 50 და 30-მეტრიან დისტანციებზე, ქალები — 70, 60, 50 და 30 მეტრზე.

პიარნუს ასპარეზობა შესარჩევი ტურნირიცაა მსოფლიო პირველობის წინ, რომელიც ერთი თვის შემდეგ ჩატარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

(საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 181 უე 07499